

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5

2012 წლის 17 თებერვალი

ქ. ჭიათურა

სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტისა და „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 23¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

განისაზღვროს ჯარიმის ოდენობები ჭიათურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი ზონების მიხედვით (დანართი №1).

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის №29 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ი. ჭუმბურიძე

დანართი №1

ჯარიმის ოდენობები ჭიათურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი ზონების მიხედვით

№	ზონა	ზონის აღწერა	ჯარიმის ოდენობა (ლარებში) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ შემოწმების აქტის შედგენის დღისთვის არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი (სადემონტაჟო) შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე
1	I ზონა	ქალაქ ჭიათურის ცენტრალური ზონა – ნინოშვილის, წერეთლის, მშენი დევანოზიშვილების (ყოფილი პირველი მაისის), ყაზბეგის, იაშვილის, თხელიძის, ნიკოპოლის, ტოლსტოის, აბაშიძის, 26 მაისის, ჭავჭავაძის ქუჩების ტერიტორიები	0,5
2	II ზონა	ქალაქ ჭიათურის შუალედური ზონა – დავით აღმაშენებლის (ყოფილი სტალინის) ქუჩის №1-დან №94-ის ჩათვლით, მღვიმევის, გიორგაძის, ჩაჩანიძის (ყოფილი მოსკოვის), წმინდა გერმანეს, ცხოვრებაძის, 9 აპრილის, ვაჟა-ფშაველას, ბარათაშვილის, ბელიაშვილის, თორღვაშვილის, ტყაბლაძის,	0,3

		ჭილაძის, ინტერნაციონალის, რუსთაველის, ქუთაისის, კუპატაძის (ყოფილი წულუკიძის), ბათუმის, ლეჟუნის, თბილისის, ჯარბელის, ტაბიძის, ჭანტურიას ქუჩების ტერიტორიები, მემორიალის მიმდებარე ტერიტორია, საჩხერის გზატკეცილის, მდინარეების ყვირილასა და ჯრუჭულას მიმდებარე ტერიტორიები	
3	III ზონა	ქალაქ ჭიათურის პერიფერიული ზონა – დავით აღმაშენებლის (ყოფილი სტალინის) ქუჩის № 94-დან ზემოთ, ახალი დარკვეთისა და მღვიმევის მადაროთა სამმართველოების მიმდებარე ტერიტორიები, სოფრომაძის, პატარიძის, ვაჩნაძის, ფანცულაიას, საბჭოს, ღვალაძის (ყოფილი საბჭოს ქუჩის მე-4 შესახვევი), წმინდა გიორგის, გაგარინის, გოგებაშვილის, ერისთავის, თავისუფლების, მუხაძის, სიხარულიძის, ფრანგიშვილის, ბაქრაძის ქუჩების ტერიტორიები; ჭიათურის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი სოფლებისა და თემების ტერიტორიები	0,2